# ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N10

2019 წლის 31 იანვარი
ქ. ქობულეთი

### სს ,,სილქნეტი''-სათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა სს ,,სილქნეტი''-ს თანდართული სქემის შესაბამისად დაბა ჩაქვში, თამარ მეფის ქუჩა N20-ის მიმდებარედ სატელეფონო კანალიზაციის მოწყობისათვის საჭირო სამუშაოების წარმოებაზე.

2. სს ,,სილქნეტმა'' უზრუნველყოს სატელეფონო კანალიზაციის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე      დ.მჭედლიშვილი




### კომენტარი

ჭა (3500-0514)-დან ასაშენებელია 2 მ შემყვანის მშენებლობა, ტროტუარი ფილაზე არსებული გარე განათების ბოძამდე

### პირობითი ნიშნები

- ერთ არხიანი საპ. სატ. კანალიზაცია
- არსებული გარე განათების ბოძი
- არსებული სატ ჭა
- არსებული სატ კანალიზაცია

## 1-3

ქობულეთი, დაბა ჩაქვი, თამარ მეფის ქ. N 20 მიმდებარე
2094 პროექტის ფარგლებში ობიექტის P2P ქსელში ჩართ

| | |
|---|---|
| სახაზო ნაგებობები | ORM ID: 200448 |
| სამშენებლო ესკიზი | 7/20/2018 |

1:2000 | 1-4